

<p style="text-align: center;"><b>ურთიერთგაგების მემორანდუმი</b></p> <p>ქ. თბილისი <span style="float: right;"><b>24</b> ივლისი, 2014 წ</span></p>	<p style="text-align: center;"><b>Memorandum of Understanding</b></p> <p>Tbilisi <span style="float: right;"><b>24</b> July, 2014.</span></p>
<p>ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში „მთავრობა“) წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის, კახა კალაძის მიერ;</p>	<p><b>Government of Georgia</b> (Hereinafter referred to as the <b>“Government”</b>), represented by the Minister of Energy of Georgia Kakha Kaladze, on the one hand;</p>
<p>მეორე მხრივ, სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში: „ესკო“) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, ვახტანგ ამბოკაძის მიერ;</p>	<p><b>“Electricity System Commercial Operator” JSC</b> (hereinafter the <b>“ESCO”</b>), represented by the general director Vakhtang Ambokadze;</p>
<p>მესამე მხრივ, შპს „ენერგოტრანსი“ (შემდგომში: „ეტ“) წარმოდგენილი დირექტორის, კახა სეხნიაშვილის მიერ;</p>	<p><b>“ENERGOTRANS” LLC</b> (Hereinafter the <b>“ET”</b>), represented by the director Kakha Sekhniashvili;</p>
<p>და მეოთხე მხრივ, შპს „მაჭახელა ჰესი 1“ (შემდგომში „კომპანია“) - საიდენტიფიკაციო კოდი: 404940999, წარმოდგენილი დირექტორის, ასელ შულენბაევის მიერ;</p>	<p><b>“MACHAKHELA HPP 1” LLC</b> (hereinafter the <b>“Company”</b>), reg. # 404940999, represented by the director Assel Shulenbaeva;</p>
<p>ვინაიდან, 2012 წლის 24 მაისს საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, შპს „ენერგოტრანსი“ და შპს „მაჭახელა ჰესი 1“-ს შორის დაიდო ურთიერთგაგების მემორანდუმი, მდინარე მაჭახელაზე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების შესწავლა/ანალიზის, შემდგომში მათი მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების თაობაზე;</p>	<p>As on the 24<sup>th</sup> of May, 2012 between the Georgian Government, “Electricity System Commercial Operator JSC”, “ENERGOTRANS” LLC and “MACHAKHELA HPP 1” LLC has been concluded Memorandum of Understanding on executing technical and economic feasibility study related to a construction works of hydro power plants on the river Machakhela, followed by the construction, ownership and operation of the abovementioned hydro power plants;</p>
<p>ვინაიდან, კომპანიამ 2012 წლის 24 მაისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის შესრულების მიზნით განახორციელა დაახლოებით 930,000 (ცხრას ოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ინვესტიცია და აღნიშული მემორანდუმის თანახმად და მის შესაბამისად ჩაატარა და დაასრულა ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები, რომლის მიხედვითაც შეიფასდა „ობიექტი 1“ და „ობიექტი 2“-ის ტექნიკური მახასიათებლები;</p>	<p>As the Company for the performance of the Memorandum of Understanding, concluded on 24<sup>th</sup> of May, 2012 invested - 930,000 (nine hundred thirty thousand) US dollars and in accordance with this memorandum conducted and completed the technical-economic feasibility studies, upon which will be altered the technical characteristics of the Object 1 and the Object 2;</p>
<p>ვინაიდან, 2012 წლის 15 მაისს საქართველოს კანონით „მაჭახელას ეროვნული პარკის შესახებ“ მაჭახელას ეროვნული პარკის ტერიტორიაში მოექცა 2012 წლის 24 მაისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის თანახმად განსაზღვრული კოორდინატების ფარგლებში „ობიექტი 2“-ის შეტბორვის ზონა, რის გამოც კომპანიისთვის შეუძლებელი გახდა მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის თაობაზე;</p>	<p>As under the Law of Georgia on “National park of Machakhela” dated the May 15, 2012 the territory of the National Park covered the flooding zone which was allocated for the construction of Object 2 pursuant to the MOU, which resulted the disability of the Company to take a final decision on construction of Hydropower plants;</p>
<p>ვინაიდან, 2012 წლის 24 მაისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი ამავე მემორანდუმის 3.6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 4.6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ავტომატურად გაუქმდა 2013 წლის 1 აპრილიდან და მხარეებს სურვილი აქვთ გაგრძელებდეს პროექტის განხორციელება. ამასთან წინამდებარე მემორანდუმზე ხელმოწერით კომპანია ადასტურებს, რომ მას არ გააჩნია რაიმე სახის მოთხოვნა ან/და უფლება მთავრობის მიმართ 2012 წლის 24 მაისს და დებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში;</p>	<p>As, the Memorandum of Understanding, concluded on 24<sup>th</sup> of May, 2012 has been cancelled pursuant to the same memorandum article 3.6, sub-article “b” and therefore the Parties are willing to proceed the execution of the project. Herewith the Company, by signing the present Memorandum confirms that it does not have any kind of demand and/or right towards the Government within the Memorandum of Understanding signed on 24<sup>th</sup> of May, 2012;</p>
<p>შესაბამისად მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:</p>	<p>Respectively, the Parties agree on following:</p>
<p><b>1. ურთიერთგაგების მემორანდუმის მიზანი</b></p>	<p><b>1. Purpose of the Memorandum of Understanding</b></p>
<p>1.1 წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის (შემდგომში „მემორანდუმი“) მიზანია კომპანიის მიერ საკუთარი სახსრებით მდინარე მაჭახელაზე ჰიდროელექტროსადგურების პირველადი პროექტის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება შემდგომში „ობიექტი 1“-ს ან/და „ობიექტი 2“-ის მშენებლობის ფლობისა და ოპერირების თაობაზე შესაბამისი ხელშეკრულების დადების მიზნით.</p>	<p>1.1. The purpose of this present Memorandum of Understanding (Hereinafter the <b>“MOU”</b>) is the preparation of the initial project of the hydropower plants on the river Machakhela and environmental impact assessment report, which the Company shall ensure to carry out at its own expense, followed by the execution of the build, own, operate Agreement of the Object 1 and/or Object 2.</p>
<p><b>2. ტერმინთა განმარტება</b></p>	<p><b>2. Definition of the Terms</b></p>
<p>2.1 ობიექტი 1 – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, მდინარე მაჭახელაზე 100 მეტრიდან 237 მეტრამდე ნიშნულების ფარგლებში ასაშენებელი 23 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური (“მაჭახელა ჰესი 1”).</p>	<p>2.1. Object 1 – Hydro power plant with an installed capacity of 23 MW shall be constructed in Khelvachauri Municipality on the river Machakhela between the elevations 100 m and 237 m above the sea level (“Machakhela HPP 1”).</p>

<p>2.2 ობიექტი 2 - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, მდინარე მაჭახელაზე 237 მეტრიდან 360 მეტრამდე ნიშნულების ფარგლებში ასაშენებელი 19 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური ("მაჭახელა ჰესი 2").</p>	<p>2.2. Object 2 -- Hydro power plant with an installed capacity of 19 MW shall be constructed within Khelvachauri Municipality on the river Machakhela between the elevations 237 m and 360 m above the sea level ("Machakhela HPP 2").</p>
<p>2.3 პროექტი – ობიექტი 1 და/ან ობიექტი 2-ის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების შესწავლა/ანალიზი, გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადებას, შემდგომში, მათი მშენებლობა, ფლობა და ოპერირება.</p>	<p>2.3. Project – technical and economic feasibility study, environmental impact assessment related to Object 1 and/or Object 2 construction works, followed by their construction, ownership and operation.</p>
<p><b>3. ობიექტი 1-ს პროექტის განხორციელების პირობები</b></p>	<p><b>3. The Terms and Conditions applicable to the project implementation of Object-1</b></p>
<p>3.1 კომპანია წინამდებარე მემორანდუმის 6.5 პუნქტით გათვალისწინებული პირობის შესრულებიდან არაუგვიანეს 12 თვეში უზრუნველყოფას:</p> <p>ა) ობიექტი 1-ს პირველად პროექტის და მშენებლობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადებას, შემდგომში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის და მშენებლობის ნებართვის მიღების უზრუნველსაყოფად;</p> <p>ბ) ობიექტი 1-ის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების ან მშენებლობაზე უარის შესახებ წინადადების მთავრობისთვის (საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო) წარდგენას.</p>	<p>3.1. No later than 12 months after performance of the condition specified in article 6.5 the Company shall ensure:</p> <p>a) Completion of initial project and environmental impact assessment of Object 1, further for the purpose of acquiring the ecological expertise conclusion and construction permit according to Georgian legislation;</p> <p>b) Submission to the Government (Ministry of Energy of Georgia and Ministry of Environment and Natural Recourses protection of Georgia) respective construction, ownership and operation proposals of Object 1 or respective proposal on rejection of construction.</p>
<p>3.2 იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ მემორანდუმის 3.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების შედეგად მიიღო გადაწყვეტილება ობიექტი 1-ს მშენებლობის შესახებ, მემორანდუმის 3.1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად მთავრობისთვის წარდგენილი წინადადება უნდა შეიცავდეს:</p> <p>ა) კომპანიის გადაწყვეტილებას ობიექტი 1-ის მშენებლობის შესახებ;</p> <p>ბ) ობიექტი 1-ს დაზუსტებულ სიმაღლერეს და წლიურ გამოშვებებს;</p> <p>გ) ობიექტი 1-ს განთავსების ზუსტ კოორდინატებს და მდინარის შესაბამის ნიშნულს, რომელიც არ უნდა გასცდეს მემორანდუმის 2.1 პუნქტით დადგენილ ნიშნულს;</p> <p>დ) ობიექტი 1-ს მშენებლობის ნებართვისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე მშენებლობის დაწყების, და ექსპლუატაციაში მიღების თარიღებს;</p> <p>ე) ობიექტი 1-ს მშენებლობის სავარაუდო საინვესტიციო ოდენობას;</p> <p>ვ) ობიექტი 1-ს მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევებს და მასთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტს (მათ შორის ნახაზებს) და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.</p>	<p>3.2. In case the Company decides to construct Object 1, due to implementation of sub-article (a) of article 3.1, the proposal to be submitted to the Government according to sub-article (b) of article 3.1, shall include the following:</p> <p>a) The Company's decision on construction of Object 1;</p> <p>b) Specified capacity and annual generation of Object 1;</p> <p>c) Exact coordinates of location of the Object 1 and relevant elevations that shall not exceed elevations determined by article 2.1.;</p> <p>d) Dates of commencement and completion of construction works and commissioning of Object 1 based on construction permit and ecological expertise conclusion;</p> <p>e) presumable amount of investment for construction of Object 1;</p> <p>f) technical-economic feasibility studies, all related documentation (including drawings) and environmental impact assessment of the Object 1 according to Georgian legislation;</p>
<p>3.3 მემორანდუმის 3.2 პუნქტის შესაბამისად, წინადადების წარდგენიდან 3 თვის ვადაში მხარეები ერთობლივად განიხილავენ კომპანიის მიერ ობიექტი 1-ს მშენებლობის საკითხს და კომპანიის მიერ კანონმდებლობით და ამ მემორანდუმით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში იღებენ გადაწყვეტილებას ობიექტი 1-ს კომპანიის მიერ მშენებლობის, ფლობის და ოპერირების ან მშენებლობაზე უარის შესახებ.</p>	<p>3.3. Within a 3 month after submission of a proposal in accordance with article 3.2 the Parties shall jointly consider construction issue of Object 1 and if the Company meets all the requirements and conditions set out by the applicable Legislation and this Memorandum, the Parties make the decision on the construction, ownership and operation works of Object 1 by the Company or on the rejection of its construction.</p>
<p>3.4 მემორანდუმის 3.2 პუნქტის შესაბამისად, მხარეთა მიერ ობიექტი 1-ს მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მემორანდუმის 3.3 პუნქტით დადგენილი 3-თვიანი ვადის ამოწურვიდან მომდევნო 3 თვის ვადაში მხარეთა შორის იდება ობიექტი 1-ის მშენებლობის განხორციელების ხელშეკრულება მშენებლობის, ფლობის და ოპერირების თაობაზე.</p>	<p>3.4. If the Parties make the decision on the commencement of construction, own and operation of Object 1 by the Company pursuant to article 3.3., after the expiration of the 3 (three) month term and within 3 (three) following months the Parties shall conclude an Implementation Agreement on Build, Own and Operation of Object 1.</p>
<p>3.5 კომპანია ვალდებულია:</p> <p>ა) მემორანდუმით დადგენილ ვადებში და პირობებით ობიექტი 1-ს მშენებლობის უზრუნველყოფის მიზნით 3.4 პუნქტის შესაბამისად ხელშეკრულების დადების დღეს მთავრობას (მთავრობის სასარგებლოდ) წარუდგინოს უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია ყოველი მეგავატისათვის 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარის ან მისი ექვივალენტის ევროში (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იმ პერიოდისათვის</p>	<p>3.5. The Company is obliged:</p> <p>a) On the day of conclusion of the Agreement in accordance with article 3.4., for the purposes of securing the construction of Object 1 in accordance with the terms and conditions agreed upon, to submit to the Government (for the benefit of the Government) an unconditional and irrevocable Bank Guarantee in the amount of 100 000 (one hundred thousand) US dollars for each MW or equivalent euro (according to the currency exchange rate</p>

<p>დადგენილი კურსის შესაბამისად), ოდენობით ობიექტი 1-ს ჯამური დადგენილი სიმძლავრის მიხედვით. ამასთან, საბანკო გარანტია უნდა გაიცეს „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)“ წევრ ნებისმიერ ქვეყანაში ან/და საქართველოში ლიცენზირებული ბანკის მიერ. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 5 თვით უნდა აღემატებოდეს ობიექტი 1-ს ექსპლუატაციაში მიღების ვადას.</p> <p>ბ) ობიექტი 1-ს მშენებლობის განხორციელების მიზნით, აღნიშნული ობიექტის ოპერირების დაწყებამდე, უზრუნველყოს, რომ მთლიანობაში პროექტის განხორციელებისას დასაქმებულთა არანაკლებ 70 % იყოს საქართველოს მოქალაქე.</p>	<p>specified by the National Bank of Georgia for that period), in accordance with the total capacity of the Object 1. The Bank issuing Bank Guarantee should normally be incorporated in any OECD (Organization for Economic Cooperation and Development) country, or be a licensed Bank in Georgia. The effectiveness date of Bank Guarantee shall exceed 5 months the date Object 1 has to be put into operation.</p> <p>b) To ensure that before Object 1 is put into operation, 70% of the staff employed on the construction project of Object 1 are citizens of Georgia.</p>
<p>3.6 მემორანდუმი ავტომატურად უქმდება და კარგავს ძალას ობიექტი 1-ის ნაწილში იმ შემთხვევაში, თუ:</p> <p>ა) კომპანიამ არ დაასრულა ობიექტი 1-ის პირველადი პროექტი და გარემოზე ზემოქმედების შეფასება მემორანდუმის 3.1 პუნქტით დადგენილ ვადაში;</p> <p>ბ) მემორანდუმის 3.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესრულების შედეგად კომპანიამ წარუდგინა მთავრობას გადაწყვეტილება ობიექტი 1-ს მშენებლობაზე უარის შესახებ ან დადგენილ ვადაში არ წარადგინა შესაბამისი გადაწყვეტილება;</p> <p>გ) კომპანიამ 3.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესრულების შედეგად წარუდგინა მთავრობას გადაწყვეტილება ობიექტი 1-ს მშენებლობაზე, მაგრამ მზარეებმა დადგენილ ვადაში ვერ მიიღეს გადაწყვეტილება მშენებლობის ან მშენებლობაზე უარის შესახებ.</p> <p>დ) მემორანდუმის 3.3 პუნქტის თანახმად კომპანიამ ვერ დააკმაყოფილა კანონმდებლობით და ამ მემორანდუმით გათვალისწინებული პირობები და შესაბამისად მას უარი ეთქვა ობიექტი 1-ს მშენებლობაზე;</p> <p>ე) მემორანდუმის 3.4 პუნქტით დადგენილ ვადაში არ დაიღო ობიექტი 1-ს მშენებლობის, ფლობის და ოპერირების ხელშეკრულება.</p>	<p>3.6 This Memorandum is automatically terminated and considered inoperative in the part of the Object 1 if:</p> <p>a) The Company failed to complete the initial project and environmental impact assessment of the Object 1 within the terms specified under article 3.1;</p> <p>b) Due to implementation of sub-article “a” of article 3.1. the Company submitted to the Government the decision not to construct the Object 1, or the Company failed to submit to the Government the decision in time;</p> <p>c) Due to implementation of sub-article “a” of article 3.1. the Company submitted to the Government the decision to construct the Object 1, however, the parties failed to make the decision to construct or not to construct the Object 1;</p> <p>d) Pursuant to article 3.3 the Company failed to meet the requirements and conditions set out by the applicable Legislation and this Memorandum and accordingly the Company was rejected to build the Object 1.</p> <p>e) The Agreement on the construction of Object 1 has not been concluded within the period specified under article 3.4.</p>
<p>3.7 მემორანდუმის გაუქმების შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია მოთხოვნისთანავე გადასცეს მთავრობას მის ხელთ არსებული ობიექტი 1-ს მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია (მათ შორის ნახაზები), ექსპლუატაციის საკუთრების უფლებით ამასთან, მზარეები თანხმდებიან, რომ აღნიშნულის სანაცვლოდ კომპანია არ მოითხოვს რაიმე სახის კომპენსაციას.</p>	<p>3.7 In case this Memorandum is cancelled, the Company is obliged immediately upon request to submit to the Government the technical-economic feasibility study related to the construction works Object 1 and all the related documents (including drawings), conveying and securing to the Government the exclusive rights to these studies and documents. The Parties hereby agree, that the Company is not entitled to require any kind of compensation regarding this issue.</p>
<p>3.8 მემორანდუმის 3.7 პუნქტით განსაზღვრული კომპანიის ვალდებულება არ მოქმედებს თუ მემორანდუმი უქმდება 3.6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რაც გამოწვეულია მთავრობის ან/და შესაბამისი უწყებების უმოქმედობით.</p>	<p>3.8 The obligation of the Company as per article 3.7 of the Memorandum is not applicable if the memorandum is cancelled according to article 3.6, sub article “c”, which is result of inoperativeness of the Government or respective department.</p>
<p><b>4. ობიექტი 2-ს პროექტის განხორციელების პირობები</b></p>	<p><b>4. The Terms and Conditions applicable to the project implementation of Object-2</b></p>
<p>4.1 კომპანია წინამდებარე მემორანდუმის 6.5 პუნქტით გათვალისწინებული პირობის შესრულებიდან არაუგვიანეს 12 თვეში უზრუნველყოფს:</p> <p>ა) ობიექტი 2-ს პირველადი პროექტის და მშენებლობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადებას, შემდგომში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის და მშენებლობის ნებართვის მიღების უზრუნველსაყოფად;</p> <p>ბ) ობიექტი 2-ის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების ან მშენებლობაზე უარის შესახებ წინადადების მთავრობისთვის (საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო) წარდგენას.</p>	<p>4.1. No later than 12 months after performance of the condition specified in article 6.5 the Company shall ensure:</p> <p>a) Completion of initial project and environmental impact assessment of Object 2, further for the purpose of acquiring the ecological expertise conclusion and construction permit according to Georgian legislation;</p> <p>b) Submission to the Government (Ministry of Energy of Georgia and Ministry of Environment and Natural Resources protection of Georgia) respective construction, ownership and operation proposals of Object 2 or respective proposal on rejection of construction.</p>

<p>4.2 იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ მემორანდუმის 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების შედეგად მიიღო გადაწყვეტილება ობიექტი 2-ს მშენებლობის შესახებ, მემორანდუმის 4.1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად მთავრობისთვის წარდგენილი წინადადება უნდა შეიცავდეს:</p> <p>ა) კომპანიის გადაწყვეტილებას ობიექტი 2-ის მშენებლობის შესახებ;</p> <p>ბ) ობიექტი 2-ს დაზუსტებულ სიმძლავრეს და წლიურ გამოუმუშავებას;</p> <p>გ) ობიექტი 2-ს განთავსების ზუსტ კოორდინატებს და მდინარის შესაბამის ნიშნულებს, რომელიც არ უნდა გასცდეს მემორანდუმის 2.2 პუნქტით დადგენილ ნიშნულებს;</p> <p>დ) ობიექტი 2-ს მშენებლობის ნებართვისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, მშენებლობის დაწყებისა და ექსპლუატაციაში მიღების თარიღებს;</p> <p>ე) ობიექტი 2-ს მშენებლობის სავარაუდო საინვესტიციო ოდენობას;</p> <p>ვ) ობიექტი 2-ს მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევებს, მასთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტს (მათ შორის ნახაზებს) და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.</p>	<p>4.2. In case the Company decides to construct Object 2, due to implementation of sub-article (a) of article 4.1, the proposal to be submitted to the Government according to sub-article (b) of article 4.1. shall include the following:</p> <p>a) The Company's decision on construction of Object 2;</p> <p>b) Specified capacity and annual generation of Object 2;</p> <p>c) Exact coordinates of location of the Object 2 and relevant elevations that shall not exceed elevations determined by article 2.2.;</p> <p>d) Dates of commencement and completion of construction works and commissioning of Object 2 based on construction permit and ecological expertise conclusion;</p> <p>e) presumable amount of investment for construction of Object 2;</p> <p>f) technical-economic feasibility studies, all related documentation (including drawings) and environmental impact assessment of the Object 2 according to Georgian legislation;</p>
<p>4.3 მემორანდუმის 4.2 პუნქტის შესაბამისად, წინადადების წარდგენიდან 3 თვის ვადაში მხარეები ერთობლივად განიხილავენ კომპანიის მიერ ობიექტი 2-ს მშენებლობის საკითხს და კომპანიის მიერ კანონმდებლობით და ამ მემორანდუმით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში იღებენ გადაწყვეტილებას ობიექტი 2-ს კომპანიის მიერ მშენებლობის, ფლობის და ოპერირების ან მშენებლობაზე უარის შესახებ.</p>	<p>4.3. Within a 3 month after submission of a proposal in accordance with article 4.2 the Parties shall jointly consider construction issue of Object 2 and if the Company meets all the requirements and conditions set out by the applicable Legislation and this Memorandum, the Parties make the decision on the construction, ownership and operation works of Object 2 by the Company or on the rejection of its construction.</p>
<p>4.4 მემორანდუმის 4.2 პუნქტის შესაბამისად, მხარეთა მიერ ობიექტი 2-ს მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მემორანდუმის 4.3 პუნქტით დადგენილი 3-თვიანი ვადის ამოწურვიდან მომდევნო 3 თვის ვადაში მხარეთა შორის იღებენ გადაწყვეტილებას ობიექტი 2-ის მშენებლობის განხორციელების ხელშეწყობა მშენებლობის, ფლობის და ოპერირების თაობაზე.</p>	<p>4.4. If the Parties make the decision on the commencement of construction, own and operation of Object 2 by the Company pursuant to article 4.3., after the expiration of the 3 (three) month term and within 3 (three) following months the Parties shall conclude an Implementation Agreement on Build, Own and Operation of Object 2.</p>
<p>4.5 კომპანია ვალდებულია:</p> <p>ა) მემორანდუმით დადგენილ ვადებში და პირობებით ობიექტი 2-ს მშენებლობის უზრუნველყოფის მიზნით 4.4 პუნქტის შესაბამისად ხელშეკრულების დადების დღეს მთავრობას (მთავრობის სასარგებლოდ) წარუდგინოს უპირობო და გამოუმზადი საბანკო გარანტია ყოველი მეგავატისათვის 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარის ან მისი ექვივალენტის ევროში (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იმ პერიოდისათვის დადგენილი კურსის შესაბამისად), ოდენობით ობიექტი 2-ს ჯამური დადგმული სიმძლავრის მიხედვით. ამასთან, საბანკო გარანტია უნდა გაიცეს „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)“ წევრ ნებისმიერ ქვეყანაში ან/და საქართველოში ლიცენზირებული ბანკის მიერ. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 5 თვით უნდა აღემატებოდეს ობიექტი 2-ს ექსპლუატაციაში მიღების ვადას.</p> <p>ბ) ობიექტი 2-ს მშენებლობის განხორციელების მიზნით, აღნიშნული ობიექტის ოპერირების დაწყებამდე, უზრუნველყოს, რომ მთლიანობაში პროექტის განხორციელებისას დასაქმებულთა არანაკლებ 70 % იყოს საქართველოს მოქალაქე.</p>	<p>4.5. The Company is obliged:</p> <p>a) On the day of conclusion of the Agreement in accordance with article 4.4., for the purposes of securing the construction of Object 2 in accordance with the terms and conditions agreed upon, to submit to the Government (for the benefit of the Government) an unconditional and irrevocable Bank Guarantee in the amount of 100 000 (one hundred thousand) US dollars for each MW or equivalent euro (according to the currency exchange rate specified by the National Bank of Georgia for that period), in accordance with the total capacity of the Object 2. The Bank issuing Bank Guarantee should normally be incorporated in any OECD (Organization for Economic Cooperation and Development) country, or be a licensed Bank in Georgia. The effectiveness date of Bank Guarantee shall exceed 5 months the date Object 2 has to be put into operation.</p> <p>b) To ensure that before Object 2 is put into operation, 70% of the staff employed on the construction project of Object 2 are citizens of Georgia.</p>
<p>4.6 მემორანდუმში ავტომატურად უქმდება და კარგავს ძალას ობიექტი 2-ის ნაწილში იმ შემთხვევაში, თუ:</p> <p>ა) კომპანიამ არ დაასრულა ობიექტი 2-ის პირველადი პროექტი და გარემოზე ზემოქმედების შეფასება მემორანდუმის 4.1 პუნქტით დადგენილ ვადაში;</p> <p>ბ) მემორანდუმის 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესრულების შედეგად კომპანიამ წარუდგინა მთავრობას გადაწყვეტილება ობიექტი 2-ს მშენებლობაზე უარის შესახებ ან დადგენილ ვადაში არ წარადგინა შესაბამისი გადაწყვეტილება;</p>	<p>4.6. This Memorandum is automatically terminated and considered inoperative in the part of the Object 2 if:</p> <p>a) The Company failed to complete the initial project and environmental impact assessment of the Object 2 within the terms specified under article 4.1;</p> <p>b) Due to implementation of sub-article “a” of article 4.1. the Company submitted to the Government the decision not to construct the Object 2, or the Company failed to submit to the Government the decision in time;</p> <p>c) Due to implementation of sub-article “a” of article 4.1. the Company</p>

<p>გ) კომპანიამ 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესრულების შედეგად წარუდგინა მთავრობას გადაწყვეტილება ობიექტი 2-ს მშენებლობაზე, მაგრამ მხარეებმა დადგინებულ ვადაში ვერ მიიღეს გადაწყვეტილება მშენებლობის ან მშენებლობაზე უარის შესახებ.</p> <p>დ) მემორანდუმის 4.3 პუნქტის თანახმად კომპანიამ ვერ დააკმაყოფილა კანონმდებლობით და ამ მემორანდუმით გათვალისწინებული პირობები და შესაბამისად მას უარი ეთქვა ობიექტი 2-ს მშენებლობაზე;</p> <p>ე) მემორანდუმის 4.4 პუნქტით დადგინებულ ვადაში არ დაიდო ობიექტი 2-ს მშენებლობის, ფლობის და ოპერირების ხელშეკრულება.</p>	<p>submitted to the Government the decision to construct the Object 2, however, the parties failed to make the decision to construct or not to construct the Object 2;</p> <p>d) Pursuant to article 4.3 the Company failed to meet the requirements and conditions set out by the applicable Legislation and this Memorandum and accordingly the Company was rejected to build the Object 2.</p> <p>e) The Agreement on the construction of Object 2 has not been concluded within the period specified under article 4.4.</p>
<p>4.7 მემორანდუმის გაუქმების შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია მოთხოვნისთანავე გადასცეს მთავრობას მის ხელთ არსებული ობიექტი 2-ს მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია (მათ შორის ნახაზები), ექსკლუზიური საკუთრების უფლებით. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ აღნიშნულის საწინააღმდეგოდ კომპანია არ მოითხოვს რაიმე სახის კომპენსაციას.</p>	<p>4.7. In case this Memorandum is cancelled, the Company is obliged immediately upon request to submit to the Government the technical-economic feasibility study related to the construction works Object 2 and all the related documents (including drawings), conveying and securing to the Government the exclusive rights to these studies and documents. The Parties hereby agree, that the Company is not entitled to require any kind of compensation regarding this issue.</p>
<p>4.8 მემორანდუმის 4.7 პუნქტით განსაზღვრული კომპანიის ვალდებულება არ მოქმედებს თუ მემორანდუმი უქმდება 4.6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რაც გამოწვეულია მთავრობის ან/და შესაბამისი უწყებების უმოქმედობით.</p>	<p>4.8. The obligation of the Company as per article 4.7 of the Memorandum is not applicable if the memorandum is cancelled according to article 4.6, sub article “c”, which is result of inoperativeness of the Government or respective department.</p>
<p><b>5. ელექტროენერჯის რეალიზაცია</b></p>	<p><b>5. Selling Electric Power</b></p>
<p>5.1 ქვეყნის ელექტრომომარაგების მიზნით, კომპანიის მიერ წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში აშენებული თითოეული ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან 10 წლის განმავლობაში თითოეული წლის ზამთრის პერიოდში, კერძოდ დეკემბერში, იანვარში და თებერვალში ამ ელექტროსადგურის მიერ გამოშვებული ელექტროენერჯის სრული ოდენობის რეალიზაცია (ელექტროენერჯის ბალანსის შესაბამისად) განხორციელდება მხოლოდ საქართველოს შიდა მოხმარების უზრუნველსაყოფად, რაც აისახება შესაბამისი წლის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსში ან სხვა ანალოგიური ხასიათის დოკუმენტში.</p>	<p>5.1. For the purposes of power supply of the country, for the period of ten years from the date of commencement of operations of the power plant constructed by the Company within the framework of this memorandum, during the winter period of each year, in particular, the months of December, January and February the full power capacity generated by each of the power plants shall be sold (in accordance with the Power Balance) exclusively for the purposes of meeting the internal requirements of Georgia, which shall be reflected in the Power (Capacity) Balance of the respective year or other similar document.</p>
<p>5.2 მემორანდუმის 5.1 პუნქტის მიზნისთვის, ელექტროენერჯის რეალიზაცია, კომპანიის არჩევანით, განხორციელდება საქართველოში არსებულ ნებისმიერ მყიდველზე თავისუფალი (დერეგულირებული) ტარიფით, ან/და ესკოსთან წინასწარ გაფორმებული გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით, რომელშიც ტარიფი განისაზღვრება 5.00 (ხუთი) აშშ დოლარი ცენტის ოდენობით 1 კვტ/სთ-ზე. ამასთან, კომპანია უფლებამოსილია მემორანდუმის 5.1 პუნქტში მითითებული 10 წლის განმავლობაში, თითოეული წლის 3 თვის გარდა, დამატებით 3 თვის განმავლობაში, კერძოდ ოქტომბერში, ნოემბერში და მარტში, ელექტროენერჯის სრული ან ნაწილობრივი ოდენობის რეალიზაცია (ელექტროენერჯის ბალანსის შესაბამისად) განახორციელოს ესკო-სთან წინასწარ გაფორმებული გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით, რომელიც გულისხმობს ესკოს მხრიდან კომპანიის სურვილის შემთხვევაში ელექტროენერჯის შესყიდვის ვალდებულებას და რომელშიც ტარიფი განისაზღვრება აგრეთვე 5.00 (ხუთი) აშშ დოლარი ცენტის ოდენობით 1 კვტ/სთ-ზე.</p>	<p>5.2. For the purposes of article 5.1 at the Companies discretion electric power shall either be sold out to any buyer within Georgia at a free (deregulated) tariff, and/or in accordance with the Guaranteed Power Purchase Agreement concluded with the ESCO, with the tariff specified as 5 (five) USD cent per KWh. In addition to that, apart from the 3 months specified in article 5.1, during additional 3 months (October, November and March) over the 10-years period as specified in article 5.1 the Company is entitled to partial or whole sale of the electric power (in accordance with the Power Balance) pursuant to the Guaranteed Power Purchase Agreement concluded with the ESCO, according which at the Companies discretion the ESCO is obliged to purchase the electric power at a rate of 5 (five) USD cent per KWh.</p>
<p><b>6. მხარეთა უფლება-მოვალეობები</b></p>	<p><b>6. The Rights of the Parties</b></p>
<p>6.1 საკუთრების შემთხვევაში, პროექტის განხორციელების მიზნით მთავრობა განიხილავს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, შესაბამისი მიწის ნაკვეთი(ებ)ის კომპანიისათვის გადაცემის საკითხს და აღმოუჩენს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სათანადო დანაშარებს აღნიშნულთან დაკავშირებით. ასევე თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს შეუწყობს კომპანიას შესაბამისი ნებართვების და ლიცენზიების მოპოვებაში.</p>	<p>6.1. If needed, for the purposes of implementation of the Project the Government discusses the transfer/concession of the land plots owned by the State to the Company and provides respective assistance to the Company in according to the Georgian legislation. Moreover, within its competence the Government assists the Company with respect to issuance of required permits and licenses.</p>

<p>6.2 კომპანია 3.4 ან/და 4.4 პუნქტებით გათვალისწინებული ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს უფლებამოსილია შესაბამისი ნებართვის საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაატაროს მშენებლობის წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები.</p>	<p>6.2. The Company is entitled on the basis of a relevant permit according to the Georgian Legislation to commence with early stage construction works before concluding the Agreement pursuant to the articles 3.4. and/or 4.4.</p>
<p>6.3 მთავრობა, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, უზრუნველყოფს ობიექტი 1 და ობიექტი 2-თან დაკავშირებული, მის ხელთ არსებული დოკუმენტაციის კომპანიისთვის გადაცემას.</p>	<p>6.3. Within its competence, the Government upon availability shall provide due assistance to the Company in obtaining documents and information related to the Object 1 and Object 2 construction works.</p>
<p>6.4 მემორანდუმის 3.4 ან/და 4.4 პუნქტებით გათვალისწინებული მშენებლობის განხორციელების თაობაზე ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, შპს „ენერგოტრანსი“ იღებს ვალდებულებას თითოეული ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან 10 წლის განმავლობაში, კომპანიას მისცეს უფლება ახალციხე-ბორჩხას 400 კვ-იან ხაზით განხორციელოს ელექტროენერჯის გარანტირებული ოდენობის გატარება გათვლილი საგარეუდოდ 55 მგვტ სიმძლავრეზე (წონამატული დანაკარგების გათვალისწინებით), სათანადო ანაზღაურების სანაცვლოდ, თურქეთის ენერჯო ბაზარზე ელექტროენერჯის საექსპორტოდ, რაზედაც უნდა გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება კომპანიასთან. გარანტირებული ოდენობა და სიმძლავრე დაზუსტდება ხელშეკრულების დადებისას, სადაც განისაზღვრება ელექტროენერჯის მთლიანი ოდენობა, სიმძლავრე წლის განმავლობაში და მინიმალური და მაქსიმალური ოდენობების განაწილება თვეების მიხედვით.</p>	<p>6.4. In case the Agreement is concluded pursuant to articles 3.4. and/or 4.4., “Energotrans” LLC undertakes an obligation for a period of 10-years after commissioning of each power plant, to grant the Company the right to transfer guaranteed capacity of estimated 55 MW (taking into account transmission losses) using Akhaltsikhe-Borchkha 400 kV power line in order to export the electric power to Turkey electricity market, provided that a specific service fee is paid by the Company. “Energotrans” LLC undertakes to conclude a separate Agreement with the Company in this respect. The Guaranteed amount of the electric power and its capacity shall be stipulated under the Agreement, which will specify the total amount of the electric power, its capacity over a year, minimum and maximum amounts during the specific months.</p>
<p>6.5 წინამდებარე მემორანდუმის ხელმოწერიდან არაუგვიანეს 60 (სამოცი) დღისა მთავრობა იღებს ვალდებულებას რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით კომპანიას მიენიჭება შესაბამის/საკუთრო მიწის ნაკვეთებზე სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის უფლება 14 (თოთხმეტი) თვის ვადით, რის საფუძველზეც კომპანია უფლებამოსილი იქნება განხორციელოს წინამდებარე მემორანდუმის შესრულების მიზნით სათანადო ქმედებები.</p>	<p>6.5. Not later than 60 (sixty) days after conclusion of the present memorandum the Government takes the obligation to grant the Company special usage right on necessary/affected lands for 14 (fourteen) months, according to respective Georgian legislation, upon which the Company will be entitled to perform respective actions for implementation of the present memorandum.</p>
<p>6.6 იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ობიექტი 1-ს ან/და ობიექტი 2-ის მშენებლობის თაობაზე, აღნიშნული განხორციელება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში. ამასთან, მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს პროექტის განხორციელებისთვის საჭირო სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე სარგებლობის უფლებების კომპანიისთვის გადაცემას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.</p>	<p>6.6. In case the Parties decide to construct Object 1 and Object 2, it shall be implemented only within the limits permitted by the Georgian legislation. Herewith the Government, within its competence shall ensure that the rights on the state owned land plots necessary for the implementation of the Project shall be transferred to the Company according to the Georgian legislation.</p>
<p><b>7. ხარჯები</b></p>	<p><b>7. Project Expenses</b></p>
<p>7.1 პროექტთან დაკავშირებულ ხარჯებს სრულად გაიღებს კომპანია.</p>	<p>7.1. The expenses related to the implementation of the Project shall be fully borne by the Company.</p>
<p><b>8. მემორანდუმის მოქმედება</b></p>	<p><b>8. Effectiveness of the MOU and its Termination</b></p>
<p>8.1 წინამდებარე მემორანდუმში ძალაში შედის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერის დღიდან და შესაბამისი ობიექტის ნაწილში მოქმედებს მხარეთა მიერ მშენებლობის, ფლობის და ოპერირების ხელშეკრულების გაფორმებამდე ან მანამ სანამ მემორანდუმის 8.2 პუნქტით განსაზღვრული ერთ-ერთი შემთხვევა არ დადგება.</p>	<p>8.1. This MOU shall enter into force according to Georgian Legislation from the moment of its execution and shall remain effective with respect to each Object until conclusion of respective build, own and operation agreement by the Parties or until one of the results as per article 8.2 will not take place.</p>
<p>8.2 მემორანდუმში მთლიანად ან ნაწილობრივ ვადაზე ადრე შეწყდება:  ა) მხარეთა შეთანხმებით;  ბ) 3.6 და/ან 4.6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში;  გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.</p>	<p>8.2. The MOU may be fully or partially terminated:  a) Upon the agreement between the Parties;  b) In cases specified under articles 3.6. and/or 4.6;  c) In other cases stipulated by the Georgian Legislation</p>
<p>8.3 წინამდებარე მემორანდუმის ან მისი ნაწილის ნებისმიერი საფუძვლით გაუქმება არ განაპირობებს მთავრობის მიერ</p>	<p>8.3. Cancellation of the MOU or any of its part due to any grounds does not impose the obligation of Government to compensate the expenses of the</p>

კომპანიისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურებას.	Company.
<b>9. უფლებამონაცვლეობა</b>	<b>9. Legal Succession</b>
9.1 კომპანია, მთავრობის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე, უფლებამოსილია მემორანდუმით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები, როგორც მთლიანად ისე ნაწილობრივ, გადასცეს მესამე პირებს.	9.1. The Company is entitled to full or partial assignment of its rights and/or obligations hereunder to any third party subject to the prior written consent from the Government.
9.2 მემორანდუმის 9.1 პუნქტით გათვალისწინებულ თანხმობაზე არ შეიძლება კომპანიას ეთქვას დაუსაბუთებელი უარი.	9.2. The Company shall not be refused to receive consent from the Government as stipulated under article 9.1 without reasonable grounds.
<b>10. შეტყობინებები</b>	<b>10. Notifications</b>
10.1 მემორანდუმის ფარგლებში მხარეთა მიერ გაგზავნილი კორესპონდენციები შედგენილ უნდა იქნეს წერილობით და გაიგზავნოს ფოსტის, კურიერის ან ფაქსის (ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით) მეშვეობით. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღებისთანავე.	10.1. Any correspondence sent by the parties within the framework of this MOU shall be made in writing and shall be sent by mail, courier service or facsimile transmission (with the original copy to follow). The notification shall enter into force immediately upon its receipt by the recipient.
<b>11. გამორჩეული სამართალი და დავების განხილვა</b>	<b>11. Governing Law and Dispute Resolution</b>
11.1 მემორანდუმი დადებულია და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.	11.1. This MOU is executed and shall be governed by the laws of Georgia.
11.2 მხარეთა შორის მემორანდუმიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით წარმოშობილი ყველა დავა გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.	11.2. All disputes arising out of or related to the MOU shall be resolved by common courts of Georgia, in accordance with the applicable legislation of Georgia.
11.3 მემორანდუმი შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენაზე ოთხ ეგზემპლარად. ტექსტთა შორის შეუსაბამობის შემთხვევაში ქართულ ტექსტს ენიჭება უპირატესი ძალა.	11.3. This MOU is made in two languages – Georgian and English, four original counterparts in each language. In case of any inconsistency between the two texts of the MOU, the Georgian text shall prevail.
ხელმოწერები	Signatures
საქართველოს მთავრობა	Government of Georgia
საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრი	Ministry of Energy of Georgia
კახა კალაძე	Kakha Kaladze
სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“	JSC „Electricity System Commercial Operator“
გენერალური დირექტორი	Director General
ვახტანგ ამბოკაძე	Vakhtang Ambokadze
შპს „ენერგოტრანსი“	LLC „ENERGOTRANS“
დირექტორი	Director
კახა სეხნიაშვილი	Kakha Sekhniashvili
შპს „მაჭახელა ჰესი 1“	LLC „Machakhela HPP 1“
დირექტორი	Director
ასელ შულენბაევა	Assel Shulenskaeva